მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება № 116

ქ. ქუთაისი 21 აგვისტო, 2014 წელი.

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, ერთის მხრივ, შემდგომში "შემსყიდველად" წოდებულმა, მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ქეთევან ჯაყელის სახით, მოქმედმა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და ფიზიკურმა პირმა რატი გუდავაძემ პ.ნ 60001006235, მეორეს მხრივ, შემდგომში "მიმწოდებლად" წოდებულმა, მივაღწიეთ ურთიერთშეთანხმებას და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

"შემსყიდველმა" აწარმოა მოლაპარაკება "მიმწოდებელთან" ქალაქ ქუთაისიდან "შემსყიდველის" თანამშრომელთა მსუბუქი ავტომობილით (მერსედესის ტიპის, სახ. ნომერი DZD-470) ტრანსპორტირებაზე შემდეგი მარშუტით: ქუთაისი-ახალქალაქი-ნინოწმინდა-წალკა-ნინოწმინდა-ახალქალაქი-ქუთაისი და მიიღო მისგან წინადადება აღნიშნული მომსახურების (CPV კლასიფიკატორის დანაყოფის კოდი 60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები, შესყიდვის ობიექტის CPV კოდი 60171000 – (სამგზავრო) მსუბუქი ავტომანქანების დაქირავება მძღოლთან ერთად) მიწოდებაზე.

2. ხელშეკრულების პირობები

2.1. "შემსყიდველი" ახორციელებს ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვას "მიმწოდებლისაგან" გამარტივებული შესყიდვის წესით, საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯზე და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.2. შესყიდული მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტების ნორმებს.

2.3. შესასყიდი მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2014 წლის 29 აგვისტოს.

2.7. ხელშეკრულების ღირებულებაა 125 (ასოცდახუთი) ლარი, აღნიშნული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება ხდება „შემსყიდველის“ მხრიდან

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია, უზრუნველყოს "შემსყიდველისათვის" ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული მომსახურების შესრულება ამავე ხელშეკრულების 2.3 მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

3.3. შესრულებულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე "შემსყიდველი" აწარმოებს შესრულებული მომსახურების ხარისხის საბოლოო შემოწმებას.

3.6. "მიმწოდებელი" ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული მომსახურების ინსპექტირების ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყოველგვარი წუნის ან/და დანაკლისის, აღმოფხვრა და წუნდებული მომსახურების თავიდან შესრულება საკუთარი ხარჯით.

3.7. ხელშეკრულების შესრულებისას მიღება-ჩაბარებას "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" აფორმებენ აქტით.

3.8. "შემსყიდველი" ვალდებულია, გადაუხადოს "მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით მიღებული მომსახურების საფასური 2014 წლის 25 სექტემბრამდე.

3.9. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებით, საბანკო გადარიცხვებით (უნაღდო ანგარიშსწორებით).

4. სხვა პირობები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 21 აგვისტოს და ძალაშია საბოლოო ანგარიშსწორების დღემდე - არაუგვიანეს 2014 წლის 25 სექტემბრისა.

4.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ პირად, რომელთაგან ერთი ინახება "მიმწოდებელთან" და მეორე - "შემსყიდველთან". ხელშეკრულების ორივე პირი თანაბარი იურიდიული ძალისაა.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 212852055

ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ. (431) 23 26 00

საბანკო ანგარიში № GE52BR0000010309346693

ს.ს. „ბანკ „რესპუბლიკის“ ქუთაისის № 2 სერვის–ცენტრში (კოდი REPLGE22)

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

---------- ქეთევან ჯაყელი

ბ.ა.

„მიმწოდებელი“

ფიზიკური პირი

რატი გუდავაძე

პ.ნ 60001006235

ტელ. 577 980 774

---------- რატი გუდავაძე